20.08.2025

# მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2025 წლის ივლისი

## ძირითადი შედეგები

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.1 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 0.8 პროცენტით;

- **სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი** წინა თვესთან შედარებით უცვლელია, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 3.5 პროცენტით;

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.1 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6.5 პროცენტით.

**მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები**



20.08.2025

## მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 1.1 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების 8.0 პროცენტით ზრდა დაფიქსირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე, ხოლო წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე 6.4 პროცენტით. ამასთან, დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 0.4 პროცენტით, ხოლო სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები შემცირდა 0.1 პროცენტით.

**წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** ინდექსი შემცირდა 0.8 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში ფასების კლება დაფიქსირდა წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე 15.6 პროცენტით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 4.7 პროცენტით. ამასთან, დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 5.5 პროცენტით, ხოლო სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 0.6 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის ივლისში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2024 წლის ივლისთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| **H** | **სულ** | **99.2** | **-0.80** |
| 49 | სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება | 100.6 | 0.47 |
| 50 | წყლის ტრანსპორტის მომსახურება | 84.4 | -0.03 |
| 51 | საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება | 95.3 | -0.97 |
| 52 | დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება | 94.5 | -0.26 |

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.08.2025

## სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** უცვლელია. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.01 პროცენტით, ხოლო სადენიან და უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები უცვლელია.

**წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** ჯამური ინდექსი შემცირდა 3.5 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 0.1 პროცენტით. ამასთან, სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები შემცირდა 20.8 პროცენტით, ხოლო უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები უცვლელია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის ივლისში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2024 წლის ივლისთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| **J** | **სულ** | **96.5** | **-3.49** |
| 61.1 | სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება | 99.9 | -0.05 |
| 61.2 | უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება | 100.0 | 0.00 |
| 61.9 | სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება | 79.2 | -3.44 |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.08.2025

## მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 2.1 პროცენტით. ფასების ზრდა დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 4.5 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.3 პროცენტით.

**წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** ჯამური ინდექსი გაზრდილია 6.5 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 7.0 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები გაიზარდა 6.5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის ივლისში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2024 წლის ივლისთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| **I** | **სულ** | **106.5** | **6.49** |
| 55 | მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით | 106.5 | 2.73 |
| 56 | მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით | 107.0 | 3.76 |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

**საკონტაქტო პირი:**

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი. ტელ: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge